ბრძანება:**ბ124. 124260361**

თარიღი:**05/02/2026**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“, „ე.ე“ ქვეპუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზირების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 25-ე მუხლის, 2015 წლის 27 მარტის N120 დადგენილების - „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზირებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის, სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების ტიპური ფორმების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ'' თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N1 („მუნიციპალური უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის #42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) განკარგულების და 2026 წლის 30 იანვრის N2 („მუნიციპალური უძრავი ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის #43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გატანილ იქნეს ელექტრონულ პირობებიან აუქციონზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

   - საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, წინწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1-ლი ქუჩა, N61, მიწის (ს/კ 84.10.32.000.118) ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ყოფილი ადმინისტრაციული შენობა). საწყისი საპრივატიზაციო საფასური - არანაკლებ 10800 (ათი ათას რვაასი) ლარი. პრივატიზების ფორმა - პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, პრივატიზების პირობა - შენობის სრული დემონტაჟი, დემონტაჟით გამოწვეული სამშენებლო ნარჩენების/ნანგრევის გატანა, მიწის ნაკვეთის მოწესრიგება. აუქციონის შემდგომ ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 2000 (ორიათასი) ლარი. ბიჯი - 100 (ასი) ლარი.
   აუქციონის ვებ გვერდზე (eauqcion.ge) გამოცხადების დროს ,,აღწერილობის“ ნაწილში საჯაროდ უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი შესაბამისი განკარგულების პრივატიზების პირობაში არსებული

ყველა ჩანაწერი; გარდა ამისა: დემონტაჟის აუქციონში ვებ გვერდზე გამოცხადების დროს უნდა დაემატოს ჩანაწერი:
სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით კალენდარული გეგმის შესაბამისად(იგულისხმება გამარჯვებული მხარის წერილობითი მომართვა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
დემონტაჟი აუცილებელია განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რაზედაც პასუხისმგებელია გამარჯვებული მხარე.
აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიასთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, დემონტაჟის შედეგად მისაღებ მეორად სამშენებლო მასალების (მარაგების) და გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის პირობით.
ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებების დასადასტურებლად, გამარჯვებული ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების საბოლოო ანგარიში, რის შემდეგაც შესრულებული სამუშაოს მიხედვით ფორმდება სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების მიღება ჩაბარების აქტი, რაც წარმოადგენს "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებას.
აუქციონში მონაწილეობის მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ ის იღებს ვალდებულებას გამარჯვების შემთხვევაში სრულიად დააკმაყოფილოს გამოცხადებული აუქციონის პირობები.
დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალა მთლიანად რჩება გამარჯვებულს.

2. გატანილ იქნეს ელექტრონულ აუქციონზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება:

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი „HONDA CR-V” (სახელმწიფო ნომრით XX 783 WW, ტიპი - მაღალი გამავლობა, მოდელი - CR-V, ფერი - რუხი, გამოშვების წელი - 2001, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი JHLRD17641S008946. საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 2700 (ორიათას შვიდასი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 540 (ხუთას ორმოცი) ლარი. ბიჯი - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი “TOYOTA RAV4“, სახელმწიფო ნომრით „XX782WW“, ტიპი - მაღალი გამავლობის, მოდელი - RAV4, ფერი - ლურჯი, გამოშვების წელი - 2003, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი JTEHH20V000267685, საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 7000 (შვიდი ათასი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 1400 (ერთი ათას ოთხასი) ლარი. ბიჯი - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი „LEXUS GX470“, სახელმწიფო ნომრით YG 913 GY (ტიპი - მაღალი გამავლობის, მოდელი - GX 470, ფერი - შავი, გამოშვების წელი 2004, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი JTJBT20X140057321); საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 24800 (ოცდაოთხი ათას რვაასი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 4960 (ოთხი ათას ცხრაას სამოცი) ლარი. ბიჯი - 100 (ასი) ლარი.

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი „TOYOTA CAMRY“, ს/ნ HH 841 JJ, ტიპი-სედანი, მოდელი CAMRY, ფერი-რუხი, გამოშვების წელი - 2008, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი 4T1BE46K29U289328. საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 10000 (ათიათასი ლარი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 2000 (ორი ათასი) ლარი. ბიჯი - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი „SSANG YONG TIVOLI“, ს/ნ WW 480 IW, (ტიპი - ჰეტჩბეკი, მოდელი - TIVOLI, ფერი-რუხი, გამოშვების წელი 2019, საიდენტიფიკაციო VIN კოდი KPT20A1VSKP288603). საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 16500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 3300 (სამი ათას სამასი) ლარი. ბიჯი -100 (ასი) ლარი.

3. აუქციონის ფორმა: ელექტრონული აუქციონი. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე გამყიდველთან 15 დღის ვადაში გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს საფასურის სრული ღირებულების გადახდა. მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ქონების შემძენმა ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე (უძრავი ქონება: (სახ/კოდ: 300083047) (მოძრავი ქონება: (სახ/კოდ: 300083332)) უნდა შეტანა თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/და საგარანტიო თანხას, ბეს და სრული ღირებულების ოდენობის შორის სხვაობას.

4. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სააუქციონო კომისიას უზრუნველყოს აღნიშნული აუქციონის გამოცხადება, ვადა განისაზღვროს 25 კალენდარული დღით: 2026 წლის 10 თებერვლიდან - 2026 წლის 06 მარტის ჩათვლით.

5. ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მიხეილ აფციაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი